# ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიში 2019-2020 სასწავლო წელი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2019-2020 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. ავტორიზაციის მონიტორინგისთვის მზადების პროცესი და მონიტორინგის ანგარიშის მომზადება
2. პროგრამული აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და აკრედიტაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობების განხორციელება ფაკულტეტებზე.
3. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზება
4. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა
5. სხვა საქმიანობა.

## ავტორიზაციის მონიტორინგი

აწსუ-ში 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის სექტემბრამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით ინტენსიურად მიმდინარეობდა ავტორიზაციის მონიტორინგისთვის მზადების პროცესი.

როგორც ცნობილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №61, 7.09.2018 სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია და დამატებით განესაზღვრა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენისთვის 1 წელი (2019), ხოლო ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით მონიტორინგი 2 წლის ვადაში (2020). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის (MES12000216858) საფუძველზე აწსუ-ში მონიტორინგი განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტებთან მიმართებით.

2018 წლის 7 სექტემბრიდან აწსუ-მ რეკომენდაციების შესრულებისთვის და მონიტორინგისთვის განახორციელა მთელი რიგი აქტივობები თვითშეფასების ჯგუფის დახმარებით, რისი შედეგიც გახდა 2019 წლის 23 სექტემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (49 გვერდი) დანართებით (49 დანართი) წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2019 წლის 28 ოქტომბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი ანგარიში, რომელიც მიიღო ცნობად და აწსუ-მ შეასრულა 2018 წლის 7 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

უსდ-მ გააგრძელა მონიტორინგისთვის მზადების პროცესი იმ სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც 2019 წლის 18 ივლისს დაამტკიცა აწსუ-ს აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება №80, (18/19).

2019 წლის ოქტომბრიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით დაიწყო ავტორიზაციის მონიტორინგისთვის ინტენსიური მზადების პროცესი და გაფართოებული სამუშაო შეხვედრებზე ფაკულტეტების დეკანებთან, დეკანის მოადგილეებთან და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან განიხილებოდა სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან და

ანგარიშებთან, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულ შეხვედრებზე, თვითშეფასების ჯგუფთან ერთად, დაიგეგმა ავტორიზაციის მონიტორინგისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპები. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა წარადგინეს სამსახურების მიერ ავტორიზაციის თვითშეფასების აგნარიშში გასაუმჯობესებელ მხარეებად მითითებული და ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშები. შეხვედრებზე ასევე ისაუბრეს საკითხებზე, პრობლემებზე, რომლებიც გამოიკვეთა სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესში და რეკომენდაციების შესრულებისას. ამის შემდეგ, 2020 წლის თებერვალში სამსახურებმა გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების დეკანებს.

2020 წლის 1 მარტიდან მონიტორინგისთვის მზადების პროცესმა გადაინაცვლა ონლაინ სივრცეში (Microsoft teams), ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. აღნიშნულმა თვითშეფასების ჯგუფს მისცა უნივერსიტეტის ცენტრალურ და ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სამსახურების უფროსებთან აქტიური თანამშრომლობის, მათ მიერ მოწოდებული მონაცემების გაანალიზების და ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დამუშავების საშუალება.

2020 წლის მაისის თვეში ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადდა მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც აისახა აწსუ-ს მიერ შესრულებული სამუშაოები უსდ-ს მე-2 და მე-6 სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მონიტორინგის ანგარიში თანდართულ დოკუმენტებთან ერთად სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ წარდგენილი იყო ვადების დაცვით 2020 წლის 1 ივნისს. 10 ივლისს წარდგენილ დოკუმენტაციას კიდევ დაემატა მოთხოვნილი დამატებითი მასალები. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ აწსუ-ს შესაბამისობა ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტებთან შეფასდა დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების გარეშე, წარდგენილი ანგარიშითა და დოკუმენტებით.

2020 წლის 2 სექტემბერს გაიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა აწსუ-ს ავტორიზაციის მონიტორინგის საკითხი და საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტმა წარმატებით დაასრულა ავტორიზაციის პროცესი.



## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

2019 წლის სექტემბრიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკრედიტაციაზე წარადგინა 24 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორისაა 12 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 4 სადოქტორო, 3 ერთსაფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამებიდან ოთხი წარდგენილია როგორც ახალი და მათ აკრედიტაციის ვადა განისაზღვრება 4 წლით, ხოლო დანარჩენი პროგრამები გადის რეაკრედიტაციას და აკრედიტაციის ვადა განისაზღვრება 7 წლით.

საანგარიშო პერიოდში წარდგენილი პროგრამებიდან აკრედიტაცია გაიარა და აწსუ-მ ახალი პროგრამის სახით დაიმატა საბაკალავრო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ (აკრედიტაციის ვადა 4 წელი). 7 წლით აკრედიტაცია მოიპოვა რეაკრედიტაციაზე წარდგენილმა სამაგისტრო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“. უნივერსიტეტში ორი პროგრამით გაიზარდა სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი და 4 წლიანი აკრედიტაცია მოიპოვა სადოქტორო პროგრამებმა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ და „ფილოლოგია“. 7 წლიანი აკრედიტაცია მიიღო ერთწლიანმა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტები განხორციელდა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინშია საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები ფარმაციაში და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“, აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამებიდან აწსუ-მ აკრედიტაციის პროცესი შეაჩერა, აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის შემდეგ, ორ პროგრამაზე - საბაკალავრო პროგრამა „კვების ინდუსტრიის ინჟინერია, საწარმოო პროცესებისა და მანქანების მართვა“ და სამაგისტრო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები და მართვა“. აკრედიტაცია ვერ გაიარა ერთმა სამაგისტრო პროგრამამ „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“.

აკრედიტაციის მაძიებლად რჩება 12 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის მომზადდა შესაბამისი ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების და პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური თანამშრომლობით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. კერძოდ, პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული შემდეგი ფაკულტეტი:

ჰუმანიტარული - 3 საგანმანათლებლო პროგრამა;
პედაგოგიურ - 1 საგანმანათლებლო პროგრამა;
ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების - 2 საგანმანათლებლო პროგრამა;
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა - 2 საგანმანათლებლო პროგრამა
მედიცინის - 6 საგანმანათლებლო პროგრამა
აგრარული - 1 საგანმანათლებლო პროგრამა;
საინჟინრო-ტექნიკური - 5 საგანმანათლებლო პროგრამა;
საინჟინრო-ტექნოლოგიური - 3 საგანმანათლებლო პროგრამა;
საზღვაო-სატრანსპორტო - 1 საგანმანათლებლო პროგრამა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნიკურ და საინჟინრო ტექნოლოგიურ ფაულტეტებზე გრძელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით იმ პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მზადება, რომელთაც აკრედიტაციის ვადა ეწურებათ 2021 წლის 15 მარტამდე და 31 მარტამდე.

აღნიშნულ ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული იყო სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც განხილული იყო აკრედიტაციის სტანდარტები, აკრედიტაციის პროცედურები, საგანმანათლებო პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების მომზადება სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო კურსების ლიტერატურა, პროგრამის მიზანის სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან კავშირი, შეფასების სისტემისა და სწავლის მეთოდების ერთმანეთთან კავშირი და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამისი ფაკულტეტების ხუს-ების და პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით უზრუნველყო აწსუ-ში აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის შეუფერხებელი განხორციელება დღის წესრიგით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული შეხვედრები ჩაატარა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, რადგან აღნიშნულ ფაკულტეტზე მოქმედ პროგრამებს აკრედიტაციის ვადა 2021 წლის 1 ივლისამდე აქვთ განსაზღვრული.

პროგრამული აკრედიტაციებისთვის მზადების პროცესში მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ შესრულებული სამუშაოები. მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრებთან კოორდინირებული მუშაობის, პერმანენტული შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად განახორციელდა 5 საბაკალავრო პროგრამის - მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, გეოგრაფია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიოემეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) მომზადება პროგრამული აკრედიტაციის

სტანდარტების შესაბამისად, რაც შეეხება ფაკულტეტზე მოქმედ სხვა პროგრამებს (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რეაკრედიტაციაზე წარდგენილი იქნება 2021 წელს. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციაზე წარდგენილი არ იყო ყველა პროგრამა ფაკულტეტის ხუს-მა უზრუნველყო ფაკულტეტზე მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანების №69/ნ დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებულ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილებები შევიდა პროგრამების კურიკულუმსა და სილაბუსებში. შეიცვალა სასწავლო გეგმების სტრუქტურა. განისაზღვრავ ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო, თავისუფალი კომპონენტის არჩევით, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო და ძირთადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებს.

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხუს-ის მონაწილეობით აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების პერმანენტული განახლება, საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების კოორდინირების და სააკრედიტაციოდ წარდგენის უზრუნველყოფა. აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შედეგად ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან აკრედიტაციაზე წარდგენილ იქნა სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ და 2019 წლის 7 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიიღო სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით. ფაკულტეტის ხუს-მა ასევე წარმოადგინა რეაკრედიტაციისთვის მომზადებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი“ და მიმდინარეობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესი.

მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების საფუძველზე აკრედიტაციაზე წარდგენილი იქნა ფაკულტეტზე მოქმედი 6 საგანმანათლებლო პროგრამა. მედიცინის დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადდა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი/PBL” და ინგლისურენოვანი „დიპლომირებული მედიკოსი“. ორივე პროგრამა აკრედიტაციის მაძიებელია. საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შეფასდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ფარმაციაში, ასევე ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული იყო წინასააკრედიტაციო სამუშაო შეხვედრები აღნიშნული პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პირებთან. ხუს-ის კონსულტაციებით მიმდინარეობს ფაკულტეტზე მოქმედი ორი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან“ შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესი.

ასევე აღსანიშნავია საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის ჩართულობა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მენეჯმენტის“ აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნა პროგრამის შესაბამისობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანების №69/ნ დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2 -ით დამტკიცებულ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად განისაზღვრა: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი. ფაკულტეტის ხუს-ის ჩართულობით პერიოდულად იმართებოდა თვითშეფასების ჯგუფის სხდომები, დაიგეგმა შესასრულებელი სამუშაოები, საჭირო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის, მომზადდა თვითშეფასების ანგარიშის პროექტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით წარდგენილ იქნა აკრედიტაციაზე.

აგრარული ფაკულტეტის ხუს-ის მონაწილეობით აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების პერმანენტული განახლება. აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შედეგად აგრარული ფაკულტეტიდან აკრედიტაციაზე წარდგენილ იქნა საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“, სადაც ცვლილებები განხორციელდა პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსებში საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანების №69/ნ დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებულ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში“ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მომზადდა და აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ, სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“ და საბაკალავრო პროგრამა "საშემსრულებლო ხელოვნება (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა)", ასევე მოქმედი 60 კრედიტიანი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სამივე პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით 2019 წლის ოქტომბრიდან რეაკრედიტაციის მიღების მიზნით გადამუშავდა და წარსადგენად მომზადდა სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები და მართვა“. პროგრამამ გაიარა აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული პროცედურები. აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება აკრედიტაციის პროცესის შეჩერების და ექსპერტებისგან მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით პროგრამის თავიდან გადამუშავების და აკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით მიმდინარეობს სკოლამდელი მასწავლებლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესი. შემუშავებულია კურიკულუმის ძირითადი ნაწილი და მოხდა დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით შესაბამისობაში მოყვანა.

საანგარიშო პერიოდში ასევე უნდა აღინიშნოს საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამული აკრედიტაციისთვის შესრულებული სამუშაოები. ფაკულტეტზე მომზადდა სადოქტორო პროგრამა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“, რომელმაც მიიღო 4 წლიანი აკრედიტაცია, ასევე მომზადდა და აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო სამაგისტრო პროგრამა „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“. აკრედიტაციაზე წარსადგენად მზადდება საბაკალავრო პროგრამები „გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია“ და „ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია“.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობით პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადდა და აკრედიტაციაზე განაცხადი გაკეთდა 3 საბაკალავრო და 1 სადოქტორო პროგრამაზე. პროგრამები მოყვანილ იქნა აკრედიტაციის სტანდარტებთან და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერთან შესაბამისობაში. ფაკულტეტზე განხორციელდა ორი საბაკალავრო პროგრამის ოპტიმიზაცია.

## აკრედიტაციის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებიდან აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 4 საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვა აკრედიტაციის მინიჭებიდან 6 თვის ვადაში აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა. ესენია, საბაკალავრო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“, სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“, სადოქტორო პროგრამები „ფილოლოგია“ და „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“. აღნიშნული პროგრამების ხელმძღვანელების მიერ მომზადდა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადამოწმდა და გადაიგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ვადების დაცვით.

აკრედიტაციის საბჭომ მოისმინა საბაკალავრო პროგრამების „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ და „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ ანგარიშები და ცნობად მიიღო ორივე.

## ტრენინგები

ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასების გამოკითხვების/შედეგების დასკვნების გათვალისწინებით აწსუ ახორციელებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებთან პროფესიული განვითარებისთვის.

2019 წლის 11 და 12 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა-ტრენინგი "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი", რომელსაც უძღვებოდა განათლების განვითრების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი, ქალბატონი თეა ნადირაძე. ტრენინგს ესწრებოდნენ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სპეციალისტები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით 2019 წლის 3-4 სექტემბერს, 2020 წლის 31 იანვარს, 1 თებერვალს და 16-17 ივლისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება", რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები და სპეციალისტები, მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, ჰუმანიტარული, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნიკური, საზღვაო-სატრანსპორტო და აგრარული ფაკულტეტების პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

2019 წლის ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო მიმართულებების მიხედვით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში თემებზე: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან", „ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია“, „თვითშეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება“, „დარგობრივი მახასიათებლების გამოყენება მედიცინის პროგრამების აკრედიტაციის დროს“ (16 ტრენინგი).



ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აქტიურად არიან ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში. მაგალითად; ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი „შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და ტესტების შედგენის მეთოდოლოგიაში“ (27.11, ტრენერი - მაია ბლიაძე), ასევე ევროკავშირის სტანდარტის სასერტიფიკატო ტრენინგი - შერეული/ჰიბრიდული სწავლება (27-28. 02 ტრენერი - ზაზა ცოტნიაშვილი).

საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა-ტრენინგი თემებზე: სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კომპონენტების ურთიერთკავშირი; პროგრამის სწავლის შედეგები და განახლებული კვალიფიკაციის ჩარჩო. 2020 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში კორონავირუსით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ონლაინ რეჟიმში სწავლების პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები Microsoft teams-ში მუშაობასთან დაკავშირებით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალისთვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა ტრენინგი „სწავლების ინოვაციური მეთოდების - სწავლების ელექტრონული პორტალის (moodle) შესახებ.



პედაგოგიური ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის 2020 წლის თებერვალში გაეროს ბავშთვთა ფონდის ინიციატივით UNICEF-ის წარმომადგენელმა საქართველოში ღასან ხალილმა ჩაატარა ტრენინგი ბავშვთა უფლებების საუნივსერიტეტო კურიკულუმში ჩართვის შესახებ.

## გარე და შიდა მობილობები

2019-2020 სასწავლო წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ საშემოდგომო და საგაზაფხულო მობილობების პროცესში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გარე მობილობა, შიდა მობილობა, მაინორის მობილობა, რიგგარეშე შიდა მობილობა და პედაგოგიურ ფაკულტეტზე სტუდენტთა შიდა რიგგარეშე მობილობა. მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით საშემოდგომო მობილობის პროცესში გარე მობილობით გადმოვიდა 176 სტუდენტი შესაბამის ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე; შიდა მობილობით ისარგებლა 141 სტუდენტმა; მაინორ პროგრამებზე მობილობა განახორციელა 45 სტუდენტმა; რიგგარეშე შიდა მობილობით ისარგებლა 14 სტუდენტმა (რაც გამოწვეული იყო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლით და გრანტით სარგებლობის პირობის შეზღუდვით). რაც შეეხება საგაზაფხულო მობილობას - გარე მობილობით გადმოვიდა 124 სტუდენტი, შიდა მობილობით ისარგებლა 182 სტუდენტმა. მაინორ პროგრამების შეცვლა

განახორციელა 50 სტუდენტმა, რიგგარეშე შიდა მობილობით ისარგებლა 2 სტუდენტმა, ხოლო რიგგარეშე გარე მობილობით 3-მა.

გარე და შიდა მობილობის პროცესების წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფილია ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მჭიდრო თანამშრომლობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორთან.

ფაკულტეტებზე დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის პროცესის ორგანიზების მიზნით შეიქმნა საფაკულტეტო კომისია დეკანის თავმჯდომარეობით.

გარდა მობილობებისა, სექტორმა უზრუნველყო სასწავლო წლის მანძილზე სახელმწიფო, საუნივერსიტეტო და VTB ბანკის სტიპენდიების გაცემისთვის შესაბამისი ბრძანებების მომზადება.

ხუს-მა ფაკულტეტების დეკანებთან და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, ასევე ადმინისტრაციასთან ერთად გადახედა უნივერსიტეტში სტიპენდიის დანიშვნის წესს და შეიტანა მასში ცვლილებები, კერძოდ, განსაზღვრა სტუდენტისთვის სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმები აკადემიური მოსწრებისა და სხვადასხვა სახის აქტივობების გათვალისწინებით, დოკუმენტში ასევე განისაზღვრა უნივერსიტეტში ფაკულტეტების მიხედვით სახელმწიფო, საუნივერსიტეტო და VTB ბანკის სტიპენდიების გაცემის მექანიზმი.

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა უნივერსიტეტის არქივთან მჭიდრო თანამშრომლობით რამდენიმე ათეული დოკუმენტი წარსადგენი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებით.

## ცვლილებები ნორმატიულ დოკუმენტებში

ხუს-ის ინიციატივით, PDCA ციკლის მიდგომით გაუმჯობესდა სტიპენდიების დანიშვნის რეგულაცია. სტიპენდიის გაცემა დაგეგმილი იყო შესაბამისი რეგულაციების მიხედვით, თუმცა შემდგომში ხუს-ის ინიციატივით შეფასდა, თუ რამდენად ახდენდა სტიპენდიის დანიშვნა სტუდენტის მოტივაციას სწავლისა და სხვა კურიკულუმისგარეშე აქტივობების განხორციელებისათვის, გადამოწმდა გაცემული სტიპენდიების რაოდენობები, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და წარმატებული სტუდენტების ინტერვიურება, შეიცვალა სტიპენდიის გაცემის წესი და ამ წესის მოქმედების შედეგად გაზრდილია სტუდენტების კურიკულუმისგარე თუ სხვა აქტივობები, როგორიცაა: სამეცნიერო პიკნიკები, სტუდენტური კონფერენციები, სხვადასხვა სახის ტრენინგები, ტუტორობა და სხვა. (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 27(19/20) (3.12.2019) სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო და სხვა სტიპენდიების დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ)

ცვლილება განხორციელდა „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში, რაც დაკავშირებული იყო სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობასთან; „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ” დოკუმენტს დაემატა მუხლი სადოქტორო ნაშრომის პლაგიატზე გატარების პროცედურის შესახებ და ა.შ.

2020 წლის 29 იანვრის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №33(19/20) ცვლილება განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკაში, კერძოდ, EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურაში დანართი 1- საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმაში დაემატა პუნქტი „საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის დასაბუთება.

## ცვლილება დიპლომის დანართში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №158/ნ (5.08.2019) ბრძანების თანახმად უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმის ცვლილება განხორციელდა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი აწსუ-ში მოქმედი დიპლომის დანართის ფორმის

ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება № 31(19/20) 29.01.2020) დიპლომის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა განახორციელეს დიპლომის დანართში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით შესაბამისი მონაცემების მომზადება (პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკაშირებით) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით დოკუმენტის გამართულობის უზრუნველყოფა.

## პლაგიატი

Erasmus+ პროექტის INTEGRITY (აკადემიური კეთილსინდისიერება) მიზანია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წელს აწსუ-ში დაიწყო სტუდენტების მიერ შესრულებული წერითი დავალებების (სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ფარგლებში), სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გატარება ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში, რითაც აწსუ-მ დაიწყო კვლევით და სასწავლო საქმიანობაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის კულტურის ამაღლება.

ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში წერითი დავალებების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გატარებას წინ უძღოდა ტრენინგები პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების შესახებ და დავალებების „Turnitin” პროგრამაში შემოწმების მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურების მიერ. გადამზადდა 122 აკადემიური პერსონალი (https://atsu.edu.ge/index.php/fa-news-geo)

2019-2020 სასწავლო წელს გაგრძელდა პლაგიატთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება და პროცესში ჩაერთო აწსუ-ს ცხრავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მათ მიერ მოწოდებული იყო ინფორმაციები ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში გასატარებელი დავალებების საშემოდგომო სემესტრში ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში შემოწმდა ბაკალავრის საფეხურზე სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება და მაგისტრატურის საფეხურზე პირველ და მესამე სემესტრებში იმ სასწავლო კურსების წერით დავალებები, რომელთა შესრულებას ითვალისწინებდა სილაბუსი სტუდენტის შეფასების აქტივობის კომპონენტში. ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო 53 პედაგოგმა, დარეგისტრირებულ იყო 1293 სტუდენტი, აქედან, ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში გატარდა 1186 სტუდენტის ნაშრომი. მათ შორის, 851 ბაკალავრის და 335 მაგისტრატურის საფეხურის.

## ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა, რადგან ის წარმოადგენს მძლავრ იარაღს საერთაშორისო დონეზე ცნობადობისა და თვითრეალიზებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით გაძლიერდა ურთიერთობები უცხოელ მეცნიერებთან, ჩატარდა საჯარო ლექციები და მსოფლიოში ცნობილი ლიტერატურის გაცნობა განხილვა. მაგალითად, ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი - 2019-ის ფარგლებში ჩატარდა სორენა ჩიფერის საჯარო ლექცია (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/1580-sajaro-leqcia-sorina-shiferi) და ოქსფორდისა და მიუნსტერის უნივერსიტეტების პროფესორის იორგ ჰარდის საჯარო ლექცია თემაზე: "რობოტების ეთიკური გონიერება - რობოტიზმი". (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/1588-robotizmi). „აწსუ დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური კლასტერი“-სა და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, ამ/წლის 8 ნოემბერს, ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა ერიკ ს. რეინერტის წიგნის „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“ ქართული თარგმანის პრეზენტაცია. აღნიშნული წიგნისთვის რეინერტმა 2008 წელს მიიღო პრესტიჟული „მირდალის პრიზი“. https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/1607-reinertis-wignis-prezentacia

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გამოვყოფდით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ტურიზმის მიმართულებას, რომელიც 4 წელია ახორციელებს ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის (USN) საგრანტო საგანმანათლებლო პროექტს „მდგრადი ტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა. თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში ყირგიზეთს, საქართველოსა და ნორვეგიას შორის“ (დაფინანსებულია ნორვეგიის მთავრობის მიერ). პროექტის განხორციელებაში იყო ჩართული შვიდი პარტნიორი უნივერსიტეტი - 3 უნივერსიტეტი საქართველოდან, სამი - ყირგიზეთიდან და USN. პროექტი დასასრულს მიუახლოვდა და ნორვეგიაში/ USN-ში მიმდინარე წლის 22 -28 სექტემბერს გაიმართა დასკვნითი ერთკვირიანი სემინარი ყველა პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით. დასკვნით სემინარზე მიწვეული იყო აწსუ-ს წარმომადგენლებიც. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პროექტში მონაწილეებისთვის, ეს იყო ნაყოფიერი მუშაობის 4 წელი. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობამ, ზაფხულის სკოლებმა, სემინარებმა, ჩატარებულმა კვლევებმა და სხვა აქტივობებმა ხელი შეუწყო პარტნიორ უნივერსიტეტებში და მათ შორის აწსუ-ში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, კონტაქტების დამყარებასა და ინტერნაციონალიზაციას, მცირე ბიზნესთან/კერძო სექტორთან კავშირების გაძლიერებასა და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავებას. პროექტის ფარგლებში იყო ორგანიზებული ონლაინ კურსი „ინგლისური აკადემიური წერა და პუბლიკაციები“, პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა ტურისტული ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და წიგნები, რომლებიც გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით შექმნილ ტურიზმის ლაბორატორიისთვის. ნორვეგიის განვითარების სააგენტომ დააფინანსა ნორვეგიის უნივერსიტეტში -USN სტუდენტთა და მასწავლებელთა მობილობა ERASMUS + 2020-2023 წლებში - 3 სტუდენტისა და 3 აკადემიური პერსონალის და შესაბამისად ნორვეგიელი პედაგოგების მობილობა აწსუ-ში

## აკადემიური პერსონალის საქმიანობა - ურთიერთდასწრებები

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები კონტროლს უწევდნენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და სახელმძღვანელოების, სალექციო კურსებისა და თვალსაჩინოებების მომზადებას და გამოცემას, რაც აისახა 2019-2020 სასწავლო წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშში.

აკადემიური პერსონალის პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების კომპეტენციის (პედაგოგიური და დარგობრივი ასპექტების) შეფასებისათვის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტების მიერ გამოყენებული იქნა ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმი შედგენილი ურთიერთდასწრების გრაფიკის შესაბამისად. ურთიერთდასწრების ჯგუფში ჩართული იყო შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი; შედეგები წარმოდგენილი იქნა მეცადინეობის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების ოქმის სახით, რომელთა ანალიზის საფუძველზე ფაკულტეტის ხუს-ის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. მაგ: საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების საბჭომ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები: გატარდეს ღონისძიებები სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად და სალექციო პროცესში ჩართულობის გასაზრდელად; გააქტიურდეს აკადემიურ პერსონალს შორის იდეებისა და გამოცდილებების ურთიერთგაზიარება სწავლა/სწავლების პროცესთან დაკავშირებით; სასურველია აკადემიური პერსონალის ინტენსიური ჩართვა სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების, სწავლის შედეგების, შეფასების სისტემასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე; დაისახოს სასწავლო რესურსების განახლება-შევსების ღონისძიებები; მოხდეს სწავლა/სწავლების საუკეთესო მაგალითების დისემინაცია ფაკულტეტზე.

2020 წლის მარტიდან სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურ ელექტრონულ ფორმატში, ფაკულტეტების ხუს-ები თვალყურს ადევნებდნენ სასწავლო პროცესს და ჰქონდათ წვდომა teams-ის ყველა სასწავლო ჯგუფზე. აკადემიური პერსონალისათვის შესრულდა სასწავლო პროცესის სხვადასხვა სახის შეფასებები და მომზადდა რჩევები დისტანციური ელექტრონული სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის.

## დისტანციური სწავლება

Covid- პანდემიის პირობებში აწსუ გადავიდა ონლაინ სწავლებაზე საერთაშორისოდ აღიარებული პლატფორმების Microsoft Teams და Moodle გამოყენებით. 16 მარტიდან დაიწყო ონლაინ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვა.

აწსუ-ში შექმნილი ონლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ონლაინ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით ჩატარდა ტრენინგები უნივერსიტეტის პერსონალისთვის. ფაკულტეტებზე შეიქმნა დახმარების ჯგუფები, რომლებიც აკადემიური ჯგუფების ფორმირებას უწევდა ორგანიზებას.

დამზადდა სტუდენტთა დახმარების სპეციალური პორტალი, სადაც სტუდენტს გაეწია ონლაინ კონსულტაცია და ვიდეო-სახელმძღვანელოები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. რაც განთავსდა უნივერსიტეტის მიერ შექმნილ დახმარების პორტალებზე - სტუდენტებისათვის www.online.atsu.ge და აკადემიური პერსონალისთვის www.online.atsu.ge/lector/. ფაკულტეტში შემავალი დეპარტამენტებიდან არჩეული წარმომადგენლებისგან შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და ფაკლტეტის ხუს-თან ერთად ორგანიზებას უწევდა აკადემიური ჯგუფების ფორმირებას, ახდენდა ონლაინ სასწავლო პროცესში ხარვეზის დროულად დაფიქსირებას და აღმოფხვრას, აწვდიდა სასწავლო კურსის განმახორციელებლებს საგამოცდო თუ აქტივობის (ქვიზი, წერითი დავალება, ტესტი) შესაბამისი საკითხების, დავალებების, ბილეთების შედგენის, ატვირთვისა და შესრულებული დავალების შემოწმების ინსტრუქციებს. პერიოდულად, ყოველი კვირის ბოლოს მიმდინარეობდა წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით თითოეული ონლაინ ლექციების ჩატარების აღრიცხვიანობა და მონაცემების გადაცემა ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის.

აგრარულ ფაკულტეტზე შექმნილი დახმარების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიქმნა ინსტრუქციები (1. დახურული და ღია ტესტების შედგენა; 2. ღია ტესტების შედგენა; 3. დავალების ატვირთვა; 4. ნაშრომის გასწორება), რითაც საშუალება მიეცა აკადემიურ პერსონალს განსაზღვრულ დროში აღნიშნული ინსტრუქციების საშუალებით აეტვირთათ საჭირო მასალები სტუდენტებისათვის.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით გასცა რჩევები შეფასების ფორმების ცვლილებებთან და ამ ცვლილებების სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახვასთან დაკავშირებით. სამსახურმა ასევე გააკეთა ფაკულტეტზე ონლაინ სწავლების შეფასება და გამოკვეთა ძლიერი/გასაუმჯობესებელი მხარეები

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სწავლების პროცესის ორგანიზებაში, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად გამართვაში. სამსახურმა დაამუშავა მეთოდური ტიპის ვიდეორგოლები, რომლებიც დაეგზავნა აკადემიური პერსონალს.

პერიოდულად, ყოველი კვირის ბოლოს ფაკულტეტებზე მიმდინარეობდა წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ონლაინ ლექციების ჩატარების აღრიცხვიანობა, სადაც მოცემული იყო აკადემიური პერსონალის სახელი და გვარი, საგნის დასახელება, ჯგუფში სტუდენთთა რაოდენობა, პედაგოგისა და სტუდენტის დასწრება, მეცადინეობის ხანგძლივობა და გაცდენილი მეცადინეობის აღდგენის რიცხვი და დრო. აღნიშნული საშუალებას იძლეოდა სხვადსხვა ტიპის დარღვევისიდენტიფიცირების და შემდგომში მათი გამოსწორებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების საშუალებას. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ადმინისტრაციასთან ერთად ანხორციელებდნენ მუდმივ მონიტორინგს.

## საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა, რომლიც ითვალისწინებს აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას, კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები შიდა ხარისხის შეფასებისთვის ახორციელებენ ზემოთ აღნიშნული პროცედურით გათვალისწინებულ ყველა აქტივობას.

მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში სტუდენტების მიერ პროგრამის შეფასების (EP-QA 1.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა), პრობლემების დროული იდენტიფიცირების, საუნივერსიტეტო მმართველობის, სტუდენტური დასაქმების შესახებ სტუდენტთა აზრის შესწავლის მიზნით, ორჯერ ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა, გამოკითხვის ანალიზი, რომელიც მიწოდებული იყო ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის; პროგრამების განვითარების, სრულყოფის, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის მიზნით განახორციელდა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა და გაკეთდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, განახორციელდა 2016-2017, 2017-2018 და 2018-2019 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და შდეგების ანალიზი. ანალიზის შედეგები დაეგზავნა პროგრამების ხელმძღვანელებს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; მოამზადა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომელიც სრულდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მოხდა მიღებული შედეგების დადარება წინა წლების იგივე სემესტრების მაჩვენებლებთან. შედეგები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა დეკანს, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები: ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით; სტუდენტთა მეცადინეობებზე დასწრების მონიტორინგი; სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით; აკადემიური პერსონალის, დამხმარე პერსონალის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვები. ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კურსდამთავრებულთა გამოკითხვები სატელეფონო ინტერვიურებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით წინასწარ შედგენილი კითხვების შესაბამისად. 2020 წლის იანვარში ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი დასაქმების ანალიზის მიზნით მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით პერიოდულად ხდებოდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების შეხვედრები დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან, აგრეთვე მათი გამოკითხვები. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ბაზრის კვლევას აღნიშნული მიმართულების სპეციალისტებზე, კურსდამთავრებულთა მიმართ მათი დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულების დადგენა, სავარაუდო მიზეზებზე და ხარვეზების გაუმჯობესებაზე მსჯელობა, იმის დადგენა თუ კურსდამთავრებულთა რომელი უნარების გაუმჯობესება არის სასურველი დამსაქმებლებისათვის. აღნიშნული შეხვედრების და გამოკითხვების შედეგების გათვალისწინება ხდებოდა პროგრამის გაუმჯობესების და სრულყოფის პროცესში.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური შეფასებისა და ამაღლების მიზნით ფაკულტეტის ხუს-ის ხელმძღვანელობითა და ჩართულობით: ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით და გაკეთდა შედეგების ანალიზი. ფაკულტეტის ხუს-ის მიერ შედგენილი იქნა განსხვავებული კითხვარები პირველი კურსისთვის, მე-2 და მე-3 კურსისთვის და მე-4 კურსისთვის. კითხვარი ითვალისწინებდა პროგრამის შეფასებას, სასწავლო პროცესის, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, აკადემიური პერსონალის, დეკანატის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. გაკეთდა მიღებული შედეგების ანალიზი, რომელიც მიწოდებულ იქნა ფაკულტეტის დეკანისთვის და უნივერსიტეტის ხუს-ისთვის. ფაკულტეტის ხუს-მა ასევე განახორციელა აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა. ჩატარდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და მიღებული მონაცემების ანალიზით, წინა წლების შედეგებთან შედარებით დაფიქსირდა შედეგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სასწავლო წლის ბოლოს აკადემიური პერსონალის მიერ ხუს-ის ჩართულობით წარიმართა თვითშეფასების პროცესი

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები: ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომელიც სრულდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგი მონაცემების შეგროვება: ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, ECTS -ის მიხედვით მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, დადებითი შეფასებების მაჩვენებელი ECTS -ის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების და სემესტრების მიხედვით და ა.შ. მიღებული მონაცემების შედარებამ წინა წლების იგივე სემესტრების მაჩვენებლებთან, დინამიკაში აჩვენა ჰქონდა თუ არა აკადემიური მოსწრების რადიკალურ ცვლილებას ადგილი და განისაზღვრა მიზეზები. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებსა და მის ანალიზს დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით (სასწავლო წლის მანძილზე 2-ჯერ, ზამთრის სემეტრისათვის - მარტი; ზაფხულის სემეტრისათვის - სექტემბერი) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. რიგ სასწავლო კურსებში, ხდება კურსების შეფასების ფორმების და სირთულის ადექვატურობის გაანალიზება, იკვეთება რეკომენდაციები, რომლებიც სრულდება უმოკლეს ვადებში  მისი განხილვა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე. On-line სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით დადგა 2019-2020 სასწ. წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების შედარების აუცილებლობა, რათა გვენახა  ადგილი ჰქონდა თუ არა შედეგების რადიკალურ ცვლილებას, რაც არ გამოიკვეთა.

აგრარული ფაკულტეტის ხუს-მა ასევე ჩაატარა სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები. სტუდენტთა გამოკითხვები მიზნად ისახავდა სტუდენტთა ჩართულობის გამოყენებას და ამით ფაკულტეტზე არსებული წარმატებების და ნაკლოვანი მხარეების გამოვლენას. გარდა პროგრამის, აკადემიური პერსონალის და სწავლების სისტემის შეფასებისა, სტუდენტთა მიერ იქნა გამოთქმული შენიშვნები, რომლებიც შეეხებოდა აუდიტორიების კეთილმოწყობას, გარე ტერიტორიის მოწყობას (ხეების დარგვა). გამოკითხვების შედეგებით, რიგი პრობლემებისა აღმოფხვრილია. სტუდენტების მიერ აკადემიური პერსანალის შეფასებისას დასმული ყველა კითხვის პასუხის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პერსონალის მაღალკვალიფიციურობა, მათი მომზადების დონე, მიდგომა სტუდენტების მიმართ, ობიექტურობა, მასალის ფლობის და აუდიტორიასთან მუშაობის მაღალი უნარი და სხვა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები: გააკეთა სტუდენტთა საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტების კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, გამოკითხვებით მიღებული შედეგების დისემინაცია, გამოვლენილი პრობლემების კლასიფიკაცია და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამუშაო შეხვედრებს მართავდა აკადემიურ პერსონალთან პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით,  დაიხვეწა პროგრამის მიზნების კავშირი სწავლის შედეგებთან; სწავლების მეთოდების ურთიერთმიმართება შეფასების სისტემასთან; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; მომზადდა პროგრამების შიდა თვითშეფასება; SWOT ანალიზი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ისტორია, არქეოლოგია და ქართული ენა და ლიტერატურის პროგრამის დამსაქმებლებთან.

პედაგოგიური ფაკულტეტი საუნივერსიტეტო განათლების სწორი დაგეგმისათვის დიდი მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური მოსწრების ანალიზს და მისი შედეგების გათვალისწინებას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააკეთა საგაზაფხული და საშემოდგომო სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის შდეგები გადაეცა ყველა ლექსტორს და საჭიროების შემთხვევაში შევიდა ცვლილებები საგამოცდო საკითხებში და სტუდენტების შეფასების ფორმებში. ასევე გაკეთდა წინა სასწავლო წლის შედეგებთან შედარება და აკადემიური მოსწრების ცვლილების დინამიკის დადგენა.  ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ასევე განახორციელა კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი.

მოქმედი პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებისთვის სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები აწარმოეს საინჟინრო ტექნოლოგიური და საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა, ასევე მომზადდა საშემოდგომო და საგაზაფხული სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზი. საინჟნრო-ტექნიკური ფაკულტეტზე

გამოიკვეთა სასწავლო კურსები, რომლებშიც დაფიქსირდა ყველაზე დაბალი აკადემიური მოსწრება, დადგინდა მიზეზები და ხუს-ის რეკომენდაციით სილაბუსებში დაიგეგმა და განხორციელდა ცვლილებები მათი დახვეწის მიზნით. შემუშავდა მეცადინეობებზე სტუდენტების დასწრების გაუმჯობესების ღონისძიებები.